



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 12
 26/01/2018

12-07-4-201801261725



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №12
 2018 წლის 26 იანვარი
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი
 განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის
 თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ. ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე N1 შენობა-ნაგებობის (1055.75 კვ.მ) მეორე სართულზე მდებარე 26.67 კვ.მ. ფართი (ს/კ N27.06.52.141)) საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით - უსასყიდლოდ გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

